ტყეთა თავდაცვის პირველი ფონდი

№ 287 Опись 1 120

Фонд 287 1 № 120

ГОСУДАРСТВЕННОГО ХРАНЕНИЯ



ფირმა „სადარამ" „მეცნიერებასთან" ერთად გამოსცა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეულის პირველი ტომი. მასში გაერთიანდა დიდი მეცნიერის ძმები თაყაიშვილის ყველა ემიგრანტული ნაწერი, გარდა ნაშრომისა „არქეოლოგიური ექსპედიცია ლერხუმ-სვანეთში 1910 წელს" (პარიზი, 1937, 440 გვ.), რომელიც ცალკე წიგნად მეორე ტომში შევა.

დანართის სახით კრებულში წარმოდგენილია ე. თაყაიშვილის „მოგონებანი ქართველ მწერლებზე" და „ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიისათვის (განძეულის საფრანგეთში გატანისა და დაბრუნების ისტორია)".

ტომის შემდგენელია გურამ შარაძე, რედაქტორი — ლევან სანიკიძე.

პირველი ტომი ხელმომწერლებს შეუძლიათ შეიძინონ ფირმა „სადარაში" (თავისუფლების მოედანი, 4).

გაზ

„მეც

საქართველოს მეცნიერე
თა აკადემიის გამომცემლ
„მეცნიერებამ" უკანასკნელ ხ
ბევრი საინტერესო წიგნი შეს
ვაზა ქართველ მკითხველს, გა
ია თ. მგელიაშვილის „საქართ
ლოს გეოარქეოლოგია", ა
ბოჭორიშვილის „თხზულებებ
ხუთტომეულის I ტომი, გიო
ჩიტაიას „ჩემი ცხოვრების გ
ხა და ბილიკებზე", ი. აკიმუ
ნის „სახალისო ბიოლოგ
მეცნიერულ პოპულარული
რიით „ათინათი" — ვ. პრონ
ვიჩა და ი. ლადანოვის „იაპ
ლები", რომელიც თარგმნა
ბელთაძემ. რედაქტორია ნანა
კნაძე.

...ელიაშვილის ნაშრ
„საქართველოს გეოარქეო
გია" წარმოადგენს ახალ სამე
ერო მიმართულების გეოარქე
ოგიის მონოგრაფიული შესწავ
პირველ ცდას. წიგნი განკუთ
ლია გეოლოგების, ისტორი
არქეოლოგების, ფილოლოგე
და ბუნებისმეტყველების ისტ
ით დაინტერესებულ მკითხვე
ფართო წრისათვის.

ანგია ბოჭორიშვილის „თ
ლებები" თავს უყრის მის ი
რიულ-ფსიქოლოგიურ გამ
ლევებს. წიგნი დახმარებას

სასწავლო ლიტერატურა

ისტორია. ისტორიული მეცნიერებანი

ხუხტინი ი. — სტალინის ვაჟი. იაკობ ჯუღაშვილის ცხოვრება და დაღუპვა. თარგმნა გ. სამსონაძემ, მხატვარი მ. გეწაძე. „სამშობლო", 1991. 158 გვ. 100 000 ეგზ. 4 მან.

სოფლის მეურნეობა

ლონტი მ. — უცნაური მცენარეები. რედაქტორი რ. სურმანიძე. ჟურნალ „ჰოროხის" გამოცემა. 1991. 168 გვ. 5 000 ეგზ. 3 მან.

რჩევა ბაღის მოყვარულთათვის. ცნობარი-სამახსოვრო. რედაქტორი მ. ვარდოსანიძე. „სამშობლო", 1991. 91 გვ. 55 000 ეგზ. 1 მან.

მხატვრული ლიტერატურა

ახალაია გ. — საქართველოვ, შეიმშრალე ცრემლი. ლექსები. რედაქტორი გ. ჯულუხიძე. „მერანი", 1991. 77 გვ. 7 000 ეგზ. 2 მან. გამოდის ავტორის ხარჯით.

ბედოშვილი ლ. — ჭავრიხა. ლექსები. რედაქტორი დ. ახობაძე. „მერანი", 1990. 54 გვ. 7 000 ეგზ. 30 კაპ.

გუგუნავა ს. — თამარიანი. ისტორიული პოემა. ოზურგეთის შემოქმედებითი-საწარმოო გაერთიანება „მარიოტას" გამოცემა, 1991. 158 გვ. 50 000 ეგზ. საბელშეკრულებო ფასი.

დანელია რ. — დაფიონი. ლექ
...რედაქტორი ... დ. ახობაძე.

„თბილისის უნივერსიტეტი"

თბილისის უნივერსიტე
გამომცემლობამ პროფესორ
ვაზ მიშველაძის რედაქციით გ
სცა **უახლესი ქართული ლიტ
ტურის ისტორიის სახელმძღვ
ლოს II ნაწილი.** სახელმძღვან
გამოდის სამ ნაწილად (პირე
ნაწილი გამოქვეყნდა 198
მეორე ნაწილში ზოგადად მ
ხილულია 1921-1975 წწ. ლ
ტერატურა, აგრეთვე მწერლ
— ალ. აბაშელის, ტ. ტაბიძი
იაშვილის, ვალ. გაფრინდაშვი
ირ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის
ლორთქიფანიძის, დ. შენგელ
ს. კლდიაშვილის, ლ. ასათიანი
გელოვანის, მ. ლებანიძის, მ
ჭავჭავაძის, ა. კალანდაძის,
ნიშნიანიძის, ნ. დუმბაძის, ჰ
ირეჯიბის და სხვათა ცხოვრებ
შემოქმედება.

ნაშრომთა ავტორები
პროფესორები: ს. ჯილაია, რ
შველაძე, ვ. ცისკარიძე, ა. თ
ლია, ტ. კვანჭილაშვილი, დოცენ
— თ. მაღლაფერიძე, ა. ნიკო
შვილი, ლ. ავალიანი, მ. ძაძ
ლ.შატბერაშვილი და ა. გომა
ლი.

„წიგნის სამყარო", 24.IV-91, №8

● ვულოცავთ!

აკაკი თოფურია—75

მაგიდის კალენდრის წლევანდელი 14 მარტის ფურცლიდან გავიგეთ, დაბადების 75 წელიწადი შესრულებია ცნობილ მეცნიერს, ლიტერატურათმცოდნეს და კრიტიკოსს, სტუდენტი ახალგაზრდობის უმწიკვლო აღმზრდელს, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დამაარსებელს, პროფესორ აკაკი თოფურიას.

„წიგნის სამყაროს" რედაქციამ გადაწყვიტა, ერთგვარი სიურპრიზის სახით, ეს თარიღი მიეულოცოს ღვაწლმოსილ ადამიანს ჟურნალ „ჩვენი თაობის" 1941 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილი მისივე ლექსით, რომელიც მაშინ ახალ წერეთლის ასი წლის იუბილეს ეძღვნებოდა. იგი ჩვენი ერის სასიქადულო პოეტის ახლანდელ იუბილესაც არანაკლები ელერადობით ეხმიანება. „ლიტერატურული საქართველო" იმავე წლის 13 ივნისის ნომერში წერდა: „...აკაკი თოფურიას ლექსები საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ იგი სულ მალე ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტთა რიგებში ჩადგება". სულ მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, რომელმაც შეცვალა ეს გზა და მიმართულება, მაგრამ აკაკი თოფურია მწერლობის სამსახურს ბოლომდე შერჩა.

ვულოცავთ ბატონ აკაკის დაბადების დღეს, ვუსურვებთ რა ნმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, კვლავაც ნაყოფიერ მოღვაწეობას და მოგონებათა იმ ახალი წიგნის მალე გამოცემას, რომელსაც ინტერესით მოელის მკითხველი.

აკაკი სავანეში

„ჯერ ავიდგი ფეხი, ჯერ ამედგა ენა, იქედან იწყება ჩემი მახსოვრობაც".

აკაკი

წამოიზარდნენ ჩრდილები ნაზად,
მოსწყდა შრიალი კაკლის ხის რტოებს.
მზემ უკანასკნელად ანათა ვაზა
და მაგიდაზე დაუდგა პოეტს.
თითქოს ჭართველი ხალხის წუხილის
მთელი სიმძიმე აწვა მას მარტო.
იჯდა მგოსანი შუბლშეკუმშვნილი
და გასცქეროდა მდუმარედ ტატნობს.
ხის ქვეშ ნიავი მოვარდა გრილი,
მოლს ჩააცქერდა ღრმად და ირიბად,
მოისვა მხრებზე ცვარნამი დილის...
და მდინარისკენ გაიჭირითა,
დარჩა პოეტი ფიქრების ღრუბლით
დამძიმებული და თმებჭაღარა.
დარჩა პოეტი — ახწია შუბლი
და გაუბრწყინდა სახე სხვაგვარად.
გაჰყვა ოცნებით ჩიხურას მღვრიეს...
ქვებქვეშ კიბორჩხალს როგორ იჭერდა,
როგორ პარავდა გაზაფხულს იებს
სოფლის უეხშიველ გოგობიჭებთან!
განა არ ახსოვს? აი ამ ხესთან,
მკვირცხლი გონება ჰქონდა მაშინაც.
ტოლნი მრავალჯერ შეყრილან ერთად
და „ჭოროხია" უთამაშნიათ.
უნახავს თვითონ — მკვნესარე ვერხვებს
წვიმის დაცემა ეუხერხულათ.
უნახავს თვითონ — ხავანელ გლეხებს
როგორ ეცვათ და როგორ ეხურათ.
უნახავს თვითონ — რიყრაყზე ნახირს
როგორ უძღოდა მწყემსი მოთავე.
უნახავს თვითონ — მშიერი ხალხის
მკერდქვეშ გულები როგორ შფოთავდნენ.
ღამეც უნახავს — მკლავების გაშლით
ხრა-ვარსკვლავების იჭერდა ცომცმს.
რა ვუყოთ მერე, რომ იყო ბავშვი,
ვინ დააეწყოს ალერსი ძიძის!
ეწვა კალთაში ხელებფუნთუშა-
მოუსვენარი ერთი წამითაც.
ხედავ? ვარსკვლავმა შეიკუნტრუშა...
— ძიძავ, ვარსკვლავი ხაით წავიდა?
უამბე ჩქარა, მერე ზღაპარი
და შენი სოფლის დარდიც უთხარი.
გულჩათხრობილი მუდამ რად არი
შენი გული და შენი ბუხარი!
ჩქარა, განცდებით მტვრევით
[illegible] ხალხის მახვილი ბავშვის ოცნება-
ლომგულ ქართველებს ვინ ჩაუვლდათ ფიქრი,
ან ცას ვარსკვლავი კიდევ მოსწყდებაო?
უამბე ჩქარა! ძილს არ ინებებს,
ნუ გაუგრძელებ ოდონდ მოლოდინს.
შენნ ნათელ სახეს, შთაბეჭდილებებს
გაიყოლიებს იგი ბოლომდის.
აი, გახედე, როგორ ანარებს,
რომ თვის ნაკვნარს ეწვია ახლა-
ნეებმა იცნეს, რტონი დახარეს.
მაგრამ შენ სად ხარ!.. მაგრამ შენ სად ხარ!..
გიგონებს, გიქებს ზრუნვას და ალერსს,
თავის ბავშვობას უცქერს, უღიმის-
ხან ცნსკარივით გაალებს თვალებს,
ხან აშლერდება ჩუმი ღელინით.
მოხუცდა ამის დასდევს წუხილი,
თუმც მან სიცოცხლე არ დაელევა-
სივრცეს გასცქერის შუბლშეკუმშვნილი.
ფიქრების მთიდან ჩამოდის ნელა-
ხისქვეშ ნიავი გამოჩნდა ისევ,
ფრთხილად აკოცა მგოსნის ჰალარახ.
ადგა აკაკი და სხვიტორისკენ
გაჰყვა ჩრდილებით დახერილ შარას.
ადგა აკაკი! მთელი სავანე
და საქართველო წამოდგა მთელი
და მიაცილეს ეზოს თავამდე
„სულიკოთი" და „ციცინათელით".